პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 მაისი, შაბათი, 1989 წ.
№ 86 (10 005) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვულოცავთ საუკეთესო გაზეთებს

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ შეაჯამა 1988 წელს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდაში რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები.

ფედერაციამ საქალაქო გაზეთებს შორის გამარჯვებულად სცნო გაზეთი „თბილისი“, მეორე ადგილი მიეკუთვნა გაზეთ „ქუთაისს“, მესამე — „სოციალისტურ რუსთავს“.

რაიონულ გაზეთებს შორის პირველი ადგილი წილად ხვდა „ალაზნის განთიადს“ (თელავი), მეორე — „განთიადს“ (ვანი), მესამე — „ლენინელს“ (ზესტაფონი).

ვულოცავთ!



თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩის ფრაგმენტი. გარღვევაზეა დინამოელი კახი გოგიჩაიშვილი. ამ მატჩის მიმოხილვას „ლელოს“ დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე გთავაზობთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



შოთა ჩოჩიშვილი: „შეხვედრის წინ ჩემთან მოვიდნენ მატჩის ორგანიზატორები. თანდათან ლაპარაკში, მიმახვედრეს, რომ ინოკის დამარცხება ძალზე მძიმე დარტყმა იქნებოდა იქაური გულშემატკივრებისათვის, იგი ხომ კეტჩის აღიარებულ ვარსკვლავად ითვლება და ყველაფერთან ერთად პროფესიული ჭიდაობის ასოციაციის პრეზიდენტიც არის. მოკლედ, გარიგებას მთავაზობდნენ, რასაც ალბათ შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა მოჰყოლოდა.

მე ვუთხარი (ლევან თედიაშვილიც გვერდზე მყავდა), რომ 9 აპრილის საშინელი ამბების შემდეგ საქართველოში დიდი გლოვაა და მორალური უფლება არა მაქვს, წაგებაზე დავყაბულდე. იქნებ ჩემი გამარჯვებით პატარა საქმე მაინც გავაკეთო, თუ არადა, დღესვე ამიღეთ ბილეთი და უკან გავბრუნდები-მეთქი. იაპონელები ცივად დამშორდნენ...“

ვრცელ მასალას, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტებმა მოამზადეს, „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

სურათზე: შოთა ჩოჩიშვილი პრიზებით.

ველოსპორტი

## ახალგაზრდული თამაშების პროგრამით

**როგორც** ცნობილია, წელს ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლექსური სპორტული ასპარეზობაა ახალგაზრდული საკავშირო თამაშები. ძირითადად თამაშების პროგრამით შეჯიბრებები ივნის-ივლისში გაიმართება. ყველაზე ადრე კი ასპარეზობაში ველოსიპედისტები ჩაებნენ. ალუშტიდან, სადაც ეს შეჯიბრება ტარდება, მივიღეთ პირველი ცნობა — საქართველოს წარმომადგენლებიდან პროლოგში დავიდენკო მეორე იყო, ოგანესიანი — მესამე. საქართველოს ნაკრები ლიდერია. ჩვენს ველოსიპედისტებს საბოლოოდ უძლიერესთა ექვსეულში მოხვედრა აქვთ დაგეგმილი.

## ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ

**თბილისის** „დინამოს“ სპორტკომბინატიდან დირექტორმა ვ. ელენტმა გვაცნობა: საფეხბურთო კავშირის თასის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის გაიმართება 7 მაისს 12 საათზე და არა 18 საათზე, როგორც ეს ადრე იყო გამოცხადებული. მატჩის 12 საათზე გადმოტანა გამოიწვია იმან, რომ ვილნიუსელი ფეხბურთელები შინ იმავე დღეს ბრუნდებიან.



**9 აპრილს** თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო არა ერთ სპორტულ ასპარეზობას შეეცვალა მისამართი, ზოგი კი საერთოდ არ გამართულა. ინტერესი დაუკარგა გენერალ ლესელიძის ტრადიციულ მემორიალსაც კრივში, რომელიც მე-XII-ედ უნდა ჩატარებულიყო და ჩვეულებისამებრ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან საკმაო რაოდენობის მონაწილეთა გამოსვლასაც გვპირდებოდა. მაგრამ დადგა 4 მაისი და შეჯიბრების გახსნაზე, რომელიც თბილისის „მოთმითი რეზერვების“ კრივის დარბაზში გაიმართა, მაყურებელმა მხოლოდ ოთხად ოთხი სტუმარი-სპორტსმენი იხილა (დონის როსტოვიდან). დანარჩენი მოკრივეები კი ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან რუსთავიდან, ზესტაფონიდან და ქუთაისიდან არიან.

პირველ დღეს გაიმართა 9 შეხვედრა, გუშინ გამოვლინდნენ მემორიალური ასპარეზობის გამარჯვებულები.

## გულმოწყალების ფონდში

**თბილისის** სპორტის სასახლის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ელისო ქობალიამ გუშინ გვაცნობა: სპორტის სასახლის კოლექტივმა გადაწყვიტა 9 აპრილის უდანაშაულო მსხვერპლთან დაკავშირებით და სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მთიანი აჭარის მოსახლეობის დახმარების ფონდში გადარიცხონ თითო დღის ხელფასი.

# ღია წერილი

## გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. იგორ ნიკოლოზის ძე როდიონოვს

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 119-ე მუხლის თანახმად „ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები“, მაგრამ თქვენ არ იცავთ ამ ელემენტარულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს და ამით აძნელებთ კომისიის მუშაობას. თქვენ უარი განაცხადეთ გადაგეცათ შესაბამისი მასალები კომისიის წევრისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გენერალ-ლეიტენანტ ი. ი. ჯორჯაძისათვის, აგრეთვე სახაუბროდ არ მიიღეთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, აკადემიკოსი ა. დ. სახაროვი.

კომისია კატეგორიულად მოითხოვს თქვენგან კომისიის მიერ უფლებამოსილ პირებს წარუდგინოთ საჭირო მასალები და დოკუმენტები და შესაბამისი ახსნა-განმარტებანი მისცეთ კომისიას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისია.**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისიის

# განცხადება

**ის,** რაც ქ. თბილისში 9 აპრილის მოვლენების შემდეგ ხდება, შეუძლებელია აიხსნას ეგრეთ წოდებული ექსტრემალური სიტუაციის არსებობით და მოითხოვს სათანადო პოლიტიკური და იურიდიულ შეფასებას.

სამხედრო და ოფიციალურ ხელისუფალთა ერთ-ერთი მოთხოვნა ქალაქში კომენდანტის საათის გასაუქმებლად იყო საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის აღდგენა. ეს მოთხოვნა შესრულდა, რასაც შემდეგ მოჰყვა შემთხვევის ადგილთან მიმდებარე სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებელთა შენობებში მოსწავლეთა და სტუდენტთა მასობრივი მოწამვლა.

გადაწყდა, რომ 29 აპრილს ოფიციალური სამგლოვიარო ცერემონია მთავრობის სასახლის მოედნიდან გადატანილიყო სიონის ეკლესიასთან. გვირგვინებისა და ყვავილების გადატანის დროს კვლავ მოხდა მასობრივი მოწამვლა.

იმ პირებმა, რომელთა ნებითა და ბრძანებით 9 აპრილს ქ. თბილისში მომწამვლელი ნივთიერებანი გამოიყენეს, უეჭველია, წინასწარ იცოდნენ, ან ყოველ შემთხვევაში შეგნებულად უშვებდნენ ბავშვებისა და მოზარდების მასობრივი მოწამვლის შესაძლებლობას, როდესაც მოითხოვდნენ სკოლებსა და აუდიტორიებში სწავლის განახლებას. მხოლოდ მათთვის იყო ცნობილი იმ დღეს ისეთი მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენება, რომელთაც შეეძლოთ გამოეწვიათ მძიმე შედეგები 20 დღის გასვლის შემდეგაც. თანაც ისეთ ადგილებშიც კი, რომლებიც ღიაა და კარგად ნიავდება.

კომენდანტის საათის მოქმედების დროს სამხედრო ხელისუფალთ შეეძლოთ მოეხდინათ იმ ტერიტორიის დეზაქტივიზაცია, სადაც გამოიყენეს მომწავლელი ქიმიური ნივთიერებანი, მაგრამ ეს არ გაკეთდა, რამაც განაპირობა კიდეც მეტად მძიმე შედეგები.

მოწამლულთა საერთო რიცხვი აღემატება 2000 კაცს.

ვითარება გართულდა იმითაც, რომ სათანადო ხელისუფლების ორგანოებმა მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენების ოფიციალური აღიარების შემდეგაც არ გაამჟღავნეს მათი შემადგენლობა და არ მოგვაწოდეს აუცილებელი სამკურნალო საშუალებანი, რითაც უკიდურესად გართულდა მძიმე ავადმყოფთა მკურნალობა. ამ გარემოებამ რესპუბლიკის მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდათა ერთმა ჯგუფმა გამოაცხადა შიმშილობა.

ზემოთმოყვანილი ფაქტები შეიცავს ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ნიშნებს, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს.

ჯანსაღი აზრი და სამართლიანობის ელემენტარული გრძნობა აუცილებელს ხდის ამ მძიმე დანაშაულის ჩამდენ კონკრეტულ პირთა გამოვლენასა და გასამართლებას — წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მძიმე ტვირთად დააწვება მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოს, უეჭველად უარყოფით გავლენას მოახდენს დასახულ პროგრესზე, ჩვენი საზოგადოების გარდაქმნასა და დემოკრატიზაციაზე.

ასეთ სიტუაციაში აუცილებელია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 119-ე მუხლის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა, რომლის თანახმადაც „ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები“.

# ახალი საჭადრაკო სპორტული კლასიფიკაცია

### ჩოგბურთი

**მოზარდთა I თანრიგი**

წლის განმავლობაში სძლიოს ორი სხვადასხვა მწვრთნელის 2 მოზარდ პირველთანრიგოსანს და 4 უთანრიგო ჩოგბურთელს;

მოიპოვოს I ადგილი ერთეულთა თანრიგში 16 მეორეთანრიგოსანი ჩოგბურთელის მონაწილეობით (გამოთიშვის სისტემით შეჯიბრებაში) ან 6 მოზარდთა 6 მეორეთანრიგოსნის მონაწილეობით (წრიული სისტემით);

**მოზარდთა II თანრიგი**

წლის განმავლობაში სძლიოს 2 მოზარდ მეორეთანრიგოსანს და 4 უთანრიგო ჩოგბურთელს;

დაიკავოს I ადგილი 32 უთანრიგო ჩოგბურთელის მონაწილეობით გამოთიშვით სისტემით შეჯიბრებაში ან 6 უთანრიგო ჩოგბურთელის მონაწილეობით წრიულ სისტემით შეჯიბრებაში; წლის განმავლობაში სძლიოს 6 უთანრიგო ჩოგბურთელს.

**სათანრიგო მოთხოვნების შესრულების პირობები**

1. საჩოგბურთო შეჯიბრებებში კალენდარული წელი ითვლება მიმდინარე წლის 1 დეკემბერი მომავალი წლის 1 დეკემბრამდე.
2. სათანრიგო მოთხოვნებში ჩაითვლება ღია და დახურული მოედნების შედეგები.
3. უფრო მაღალი თანრიგის ჩოგბურთელთან გამარჯვება ითვლება ორად.
4. ყველა წოდება და თანრიგი ენიჭებათ ასაკის დამოუკიდებლად.

**თანრიგის დამოწმება**

თანრიგის დასამოწმებლად წლის განმავლობაში უნდა მოიპოვოს 2 გამარჯვება საკუთარი თანრიგის სხვადასხვა ჩოგბურთელთან.

### შაში საერთაშორისო და რუსული

**ვაჟები და ქალები**

**სსრ კავშირის დიდოსტატი**

მოიპოვოს მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონობა;

მიიღოს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება;

მოიპოვოს სსრ კავშირის ჩემპიონობა საერთაშორისო შაშში (ვაჟები);

ორჯერ (ოთხი წლის განმავლობაში) სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში მოიპოვოს არა უმდაბლეს მე-5 ადგილისა სულ ცოტა 6 დიდოსტატის მონაწილეობით (ვაჟები);

რუსულ შაშში სსრ კავშირის (ოთხი წლის განმავლობაში) მოიპოვოს პირველი ადგილი და გავიდეს პრიზიორთა სამეულში (ვაჟები);

ორჯერ (ოთხი წლის განმავლობაში) მოიპოვოს სსრ კავშირის ჩემპიონობა (ქალები):

მოიპოვოს (ოთხი წლის განმავლობაში) პირველობა სსრ კავშირის ჩემპიონატში და გავიდეს მსოფლიო პირველობის პრიზიორთა სამეულში (ქალები).

**შენიშვნა:** ორი ან რამდენიმე ადგილის გაყოფის შემთხვევაში საკვალიფიკაციო ადგილის საშუალო არითმეტიკული გამოითვლება ჯამის მიხედვით, ნებისმიერი წილადის მაჩვენებლის ანგარიში მრგვალდება უმცირესობის მხარეს.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი**

მოიპოვოს I-VIII ადგილები სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში;

მოიპოვოს I-VI ადგილები იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე;

მოიპოვოს I ადგილი სსრ კავშირის მოზარდთა, იუნიორთა პირველობაზე; შეასრულოს საკვალიფიკაციო ნორმა, ამასთან მიაღწიოს (ან ორი წლის განმავლობაში) ინდივიდუალურ კოეფიციენტს 2450 (ვაჟები), 2250 (ქალები), ვაჟთა და ქალთა საკლასიფიკაციო ნორმების გამოანგარიშება ხდება 1 და 2 ტაბულის მიხედვით.

**შენიშვნა:** უსინათლო სპორტსმენებს საკლასიფიკაციო ნორმების შესასრულებლად ოსტატობის ინდივიდუალური კოეფიციენტი არ სჭირდებათ (იხ. ტაბულა).

**შენიშვნა:** 1. უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისია აღნუსხავს იმ შეჯიბრებების მონაწილეთა ინდივიდუალურ კოეფიციენტს, რომლებიც ტარდება არა უმცირეს 11 ტურისა წრიული სისტემით, 9 — შვეიცარიული სისტემით, 7— გუნდური შეჯიბრება; საერთაშორისო შეჯიბრება, საბჭოთა მონაწილისათვის პარტიათა რაოდენობის მიუხედავად.

2. უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისია ანგარიშში იღებს:

ა) მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონატების ფინალს, სსრ კავშირის სპორტსახკომისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს მიერ გამართულ შეჯიბრებებს შემდეგი რეიტინგებით: ვაჟთა — არა უმცირეს 2351, ქალთა — არა უმცირეს 2151;

ბ) რესპუბლიკური შერჩევითი შეჯიბრებები შვეიცარიული სისტემით, რეიტინგით არა უმცირეს 2376 (ვაჟები), 2176 (ქალები).

გ) დანარჩენი შეჯიბრებები სატურნირო რეიტინგით არა უმცირეს 2401 (ვაჟები), 2201 (ქალები);

3. სპორტის ოსტატის ნორმა დგინდება:

ა) მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონატების ფინალში, სსრ კავშირის სპორტსახკომისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს შეჯიბრებებში სატურნირო რეიტინგებით არა უმცირეს 2401 (ვაჟები), 2201 (ქალები);

ბ) დანარჩენ შეჯიბრებებში არა უმცირეს 2426 (ვაჟები), 2226 (ქალები);

4. ინდივიდუალურ კოეფიციენტს ღებულობენ უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისიების შეჯიბრებებში ნათამაშევ არა უმცირეს 30 პარტიისა (ვაჟები), 22 (ქალები).

5. ინდივიდუალური კოეფიციენტი აღირიცხება სსრ კავშირის სპორტსახკომის ჭადრაკისა და შაშის სამმართველოს მიერ დამტკიცებული მეთოდიკით.

6. ტურნირის რეიტინგი აღინუსხება მონაწილეთა ინდივიდუალური კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობით. სპორტსმენები, რომელთაც არა აქვთ ინდივიდუალური კოეფიციენტი: დიდოსტატი — 2550 (ვაჟები), 2350 (ქალები); სპორტის ოსტატი: 2450 (ვაჟები), 2250 (ქალები); სპორტის ოსტატის კანდიდატი: 2350 (ვაჟები); 2150 (ქალები), I თ. — 2250 (ვაჟები), 2050 (ქალები).

7. თუ სპორტის ოსტატობის (ან თანრიგების) ნორმა წილადიანია, იგი მრგვალდება უახლოეს ნახევარქულად.

8. მიკრომატჩების თამაშის საკლასიფიკაციო ნორმა იანგარიშება მიკრომატჩების შედეგების და არა ყველა ნათამაშევი პარტიების მიხედვით.

9. სპორტსმენებს, რომელთაც არა აქვთ წოდება ან თანრიგი შაშის მეორე სახეობაში, ითვლებიან როგორც უფრო დაბალი კლასიფიკაციისანი და შეჯიბრებაში საწყისი ინდივიდუალური კოეფიციენტით გამოდიან.

10. მოთამაშე 3 წლიანი შესვენების შემდეგ გაირიცხება კოეფიციენტმქონეთა სიიდან და ახალ შეჯიბრებაში იგი უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ დადგენილი კოეფიციენტით გადის.

11. ვაჟთა შეჯიბრებაში ქალები თავიანთი ინდივიდუალური კოეფიციენტით გამოდიან.

12. ინდივიდუალური კოეფიციენტი არ უმცირდება:

ა) ტურნირის გამარჯვებულს, რომელმაც წმინდად მოიპოვა I ადგილი;

ბ) მატჩის გამარჯვებულს;

გ) ტურნირის კატეგორიასთან შედარებით (საკავშიროზე უფრო დაბალ შეჯიბრებაზე) 150 ერთეულით ნაკლებერთეულთან პრიზიორთა სამეულში გასულ სპორტსმენს.

13. დღიდან გამოქვეყნებისა — 1 იანვარი და 1 ივლისი ყოველწლიურად სპორტსმენების ინდივიდუალური კოეფიციენტი უცვლელია 6 თვის განმავლობაში.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი I, II, III (მოზარდთა I), IV (მოზარდთა II) და მოზარდთა III თანრიგები:

მოაგროვოს 65% ან დაიკავოს 1 ადგილი შემდეგი კოეფიციენტების ტურნირებში 1, 2, 3, 4, 5, 6 (შესაბამისად). შეჯიბრებაზე უნდა ითამაშოს არა უმცირეს 11 პარტიისა წრიული სისტემით, 9 — შვეიცარიულით, 7 — გუნდურ შეჯიბრებაში.

ტურნირებისათვის შერეული შემადგენლობით — საკლასიფიკაციო ნორმები დგინდება შემდეგი ტაბულით:

| მეტოქეები ტურნირში | ნორმა % ქულებისა პარტიების რიცხვიდან თანრიგისათვის | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სპ. ოსტ. კ. | I | II | III (I მოზ.) | IV (II მოზ.) | III მოზ. |
| დიდოსტატი | 20 | 5 | – | – | – | – |
| სპ/ოსტ | 35 | 20 | 5 | – | – | – |
| სპ. ოსტ/ კანდ. | 50 | 35 | 20 | 5 | – | – |
| I თ | 65 | 50 | 35 | 20 | 5 | – |
| II თ | 80 | 65 | 50 | 35 | 20 | 5 |
| III თ (I მოზ.) | 95 | 80 | 65 | 50 | 35 | 20 |
| IV (II მოზ.) | – | 95 | 80 | 65 | 50 | 35 |
| უთანრიგო ქაბ (III მოზ.) | – | – | 95 | 80 | 65 | 50 |
| გოგოები ჭაბუკები უთანრიგო | – | – | – | 95 | 80 | 65 |

ტაბულა 1

| შეჯიბრების საშუალო კოეფიციენტი | ნორმა პარტიების რიცხვის ქულათა % |
|---|---|
| 2401–2425 | 65 |
| 2426–2450 | 61 |
| 2451–2475 | 57 |
| 2476–2500 | 53 |
| 2501–2525 | 49 |
| 2526–2550 | 45 |
| 2551–2575 | 41 |
| 2576–2600 | 37 |
| 2601 და ზევით | 33 |

ტაბულა 2

| შეჯიბრების საშუალო კოეფიციენტი | ნორმა, პარტიების რიცხვის ქულათა % |
|---|---|
| 2201–2225 | 65 |
| 2226–2250 | 61 |
| 2251–2275 | 57 |
| 2276–2300 | 53 |
| 2301–2325 | 49 |
| 2326–2350 | 45 |
| 2351–2375 | 41 |
| 2376–2400 | 37 |
| 2401 და ზევით | 33 |

საკომპოზიციო და სათამაშო პოზიციების კონკურსების მონაწილეთ ენიჭებათ:

**I თანრიგი** — სსრ კავშირის შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ საკავშირო კონკურსებში გაძლიერებული სიძნელის ყველა ამოცანის გადაწყვეტისათვის (არა უმცირეს 16).

**II თანრიგი** — საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებში ყველა ამოცანის გადაწყვეტისათვის (არა უმცირეს 10).

**III თანრიგი** — ნებისმიერ კონკურსებში ყველა ან საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ამოცანათა 60% გადაწყვეტისათვის.

**შენიშვნა:**

ტურნირის კოეფიციენტის დასადგენად თითოეული ტურნირის მონაწილეთა რიცხვი მრავლდება სათანრიგო კოეფიციენტზე (მონაწილე უთანრიგო ჭაბუკები და გოგოები — 6; უთანრიგო მონაწილეები — 5; IV-III, II და I თ. — შესაბამისად 4, 3, 2 და I სპო/კ — 0; სპ/ო — (-1), დიდოსტატი (-2), მიღებული ნაწარმოები ჯამდება და იყოფა ტურნირის მონაწილეთა რაოდენობაზე.

2. I, II, III და IV თანრიგების მისაღებად „დასვენების დღის ტურნირებში“ (შემცირებული საკონტროლო დროით — 40, 30 ან 20 წუთი თითოეულ პარტიაზე) სავალდებულოა წლის განმავლობაში სამჯერ შეასრულოს სათანადო ნორმატივი.

3. I და უფრო მაღალი თანრიგის მისანიჭებლად აუცილებელია პარტიის ჩაწერა და საშაშო საათით თამაში (გამონაკლისს წარმოადგენს „დასვენების დღის ტურნირი“, რომელიც შეიძლება ჩატარდეს პარტიის ჩაუწერლად).

**დაუსწრებელი შეჯიბრება**

**სსრ კავშირის დიდოსტატი**

მოიპოვოს:

სსრ კავშირის ჩემპიონობა —ორჯერ;

სსრ კავშირის ჩემპიონატში და მომდევნო სსრ კავშირის 3 ჩემპიონატში მოიპოვოს II ადგილი.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი**

მოიპოვოს I-III ადგილები სსრ კავშირის ჩემპიონატში; სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში; I ადგილი, რესპუბლიკის ჩემპიონობა (8 სპორტის ოსტატის მონაწილეობით).

**შენიშვნა:** I ყველა სათანრიგო მოთხოვნები იგივეა, რაც დასწრებულ თამაშში.

**სათანრიგო მოთხოვნების შესრულების პირობები**

1. „სსრ კავშირის დიდოსტატის“ წოდების მოსაპოვებლად ყველა შეჯიბრება ტარდება სულ მცირე საკავშირო კატეგორიის. მსაჯის ხელმძღვანელობით, სპორტის ოსტატისა — არა უმცირეს რესპუბლიკური კატეგორიის.

2. „სსრ კავშირის დიდოსტატის“ წოდება ენიჭება 16 წლიდან, სპორტის ოსტატისა 14, თანრიგები — 8 წლიდან.

3. თანრიგების მინიჭება და დამოწმება (სპორტის ოსტატობის კანდიდატისაც) ხდება სამხარეო, საოლქო, ქალაქების სათანადო კომიტეტების შაშის ფედერაციების საკვალიფიკაციო კომიტეტების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

4. სპორტის ოსტატობის ნორმებს იღებს შეჯიბრების მსაჯთა კოლეგია და ამოწმებს საკავშირო საკვალიფიკაციო კომისია ცხრილის მიღებისთანავე, ტურნირის დამთავრებიდან არა უგვიანეს 7 დღისა.

**თანრიგების დამოწმება**

ყველა თანრიგი ენიჭება 4 წლით და მის დასამოწმებლად ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა შესრულდეს სათანრიგო მოთხოვნები.

ორჯერ ზედიზედ წარუმატებლობის შემთხვევაში (ან თანრიგის დაუმოწმებლობის) სპორტსმენს ავტომატურად აკლდება თანრიგი (წარუმატებლობად ითვლება მინიმალური ნორმების შეუსრულებლობა).

**საშაშო კომპოზიცია**

**სათანრიგო მოთხოვნები**

**სსრ კავშირის დიდოსტატი**

ორჯერ (სამ მომდევნო ჩემპიონატებში) მოიპოვოს სსრ კავშირის ჩემპიონობა, დააგროვოს 24 ბალი.

მოიპოვოს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება.

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი**

მოიპოვოს I-III ადგილები სსრ კავშირის ჩემპიონატებში, დააგროვოს არა უმეტეს 8 ბალი;

მოიპოვოს საერთაშორისო ოსტატის წოდება;

4 წლის განმავლობაში საკავშირო საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში დააგროვოს 12 ბალი.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი**

სსრ კავშირის ჩემპიონატში მოიპოვოს 4-6 ადგილები, დააგროვოს სულ ცოტა 6 ბალი;

ორი წლის განმავლობაში არა უმცირეს რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში დააგროვოს სულ ცოტა 8 ბალი.

**I თანრიგი**

ორი წლის განმავლობაში კონკურსებში დააგროვოს არა უმცირეს 8 ბალი.

**II თანრიგი**

კონკურსებზე წარადგინოს არა უმცირეს 3 ნაწარმოებისა შეფასებით არა უმცირეს 4 ქულა (თითოეულს).

**III თანრიგი**

კონკურსებზე წარადგინოს სულ ცოტა 2 ნაწარმოები თითოეული 3 ქულის შეფასებით.

**შენიშვნა:**

1. თითოეული ნაწარმოები (პრობლემა, ამოცანა) ფასდება ათქულიანი ბალით (ეტიუდები თორმეტქულხანით): ფრიადი — 8-10 (ეტიუდი — 8-12), კარგი — 5,5-7,5; დამაკმაყოფილებელი — 3-5 ქულა.

2. ფრიადზე შეფასებისათვის ერიცხება 2, კარგზე — 1 ბალი.

კოლექტიური ნაწარმოებისათვის თანაავტორები ქულებს თანაბრად იყოფენ. ბალები ეთვლებათ მხოლოდ ერთი თანრიგის, წოდების შესასრულებლად.

3. ბალებს აკუთვნებს შეჯიბრების მსაჯთა კოლეგია და შაშის კომპოზიციის საკავშირო კომისია ამტკიცებს.

4. თითოეულ მონაწილეს შეუძლია შეჯიბრებაზე წარადგინოს ნაწარმოებთა მაქსიმუმი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი —10;

— მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ჩემპიონატები, საკავშირო კონკურსები — 6;

ჩემპიონატები და ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებები — 4.

5. წოდების ან თანრიგის მისანიჭებლად უნდა იყოს შემდეგი ნაწარმოებები:

— სსრ კავშირის დიდოსტატი — არა უმცირეს 8 — ფრიადზე;

— სსრ კავშირის ოსტატი — არა უმცირეს 3 — ფრიადზე;

— სპორტის ოსტატობის კანდიდატი—არა უმცირეს 8 — კარგზე;

6. კომპოზიციაში თანრიგების დამოწმება საჭირო არაა.

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 84.

## ბათუმელები მეორე ადგილზე

**ბათუმის** სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა ტრადიციული საქალაქთაშორისო ტურნირი ხელბურთში გოგონათა შორის კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ კიევის, ლენინგრადის, ვლადიმირისა და ბათუმის გუნდები. ტურნირი ორ წრედ ჩატარდა. პირველ წრეში კიეველმა ხელბურთელებმა, რომლებიც თავიანთი რესპუბლიკის ჩემპიონები არიან, სამივე მეტოქე დაჯაბნეს (ლენინგრადი — 18:11, ვლადიმირი — 19:16, ბათუმი — 19:17) და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ. მეორე წრეში უკრაინელები დამარცხდნენ ლენინგრადელებთან (9:15), ფრედ (21:21) ითამაშეს ვლადიმირის გუნდთან. გადამწყვეტ მატჩში ისინი შეხვდნენ მასპინძლებს — ბათუმელ ხელბურთელებს. გამარჯვების შემთხვევაში აჭარელი სპორტსმენები მეორე ადგილზე გადიოდნენ. ეს პრინციპული მატჩი მინიმალური ანგარიშით 19:18 მოიგეს კიეველებმა და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ. მეორე ადგილზეა ლენინგრადის, მესამეზე — ბათუმის გუნდი.

ტურნირის ბომბარდირი გახდა ქობულეთის სპორტსკოლის აღზრდილი, ვლადიმირის გუნდის წევრი ირინა სიდოროპულო. მის ანგარიშზეა 42 გატანილი ბურთი. საუკეთესო მცველის პრიზი დაისაკუთრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლანა რუხაძემ, ხოლო საუკეთესო მოთამაშისა — კიეველმა ნატაშა კრივონოსოვამ.

**ლევან ჭავჭავაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

## მოკლედ

**დიდი** ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის საბაზო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტდარბაზში დამთავრდა ვაჟ ფრენბურთელთა ასპარეზობა, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების 24-ე ტრადიციული სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა. დიდი ჯიხაიშის ნაკრებმა ყველა მეტოქე დაამარცხა და მეექვსედ გახდა ჩემპიონი.

**მაია მაჩიტიძე.**

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:1 (1:1)**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 3 მაისი.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, კაჭარავა, თედეევი, (თეთრაძე, 64), ჯიშკარიანი, ცვეიბა, ცაავა, ქეცბაია (არზიანი, 46), გოგიჩაიშვილი.**

**„შახტიორი“: მიხაილოვი, დრაგუნოვი, როლევიჩი, ხერდიუკი, ევსეევი, ლეონოვი, იაშჩენკო, კობოზევი. პოტპალი (გოშკოდერია, 60), სვისტუნი (სოპკო, 70), გრაჩოვი.**

**მსაჯი მ. იოფე (მოსკოვი).**

**დუბლიორები — 2:0.**

შეხვედრის დაწყების წინ მაყურებელმა და ფეხბურთელებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 9 აპრილს თბილისში ტრაგიკულად და მთიან აჭარაში სტიქიური უბედურებისაგან დაღუპულთა ხსოვნას. აქვე სტადიონზე გამოცხადდა, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები და გუნდის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს გადაწყვეტილებას რესპუბლიკაში საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოწვევასთან დაკავშირებით.

ამ მძიმე დღეებში საქართველოს ტელევიზიისა თუ პრესის ფურცლებიდან, ქართველი ერის წარმომადგენლები გამოსვლას ერთი განცხადებით იწყებდნენ, — კერძოდ, თუ რა მძიმეა მათთვის გამოსვლა ფართო აუდიტორიის წინაშე ასეთი უბედურების ჟამს. ახლა წარმოვიდგინოთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მდგომარეობა...

დონეცკის „შახტიორთან“ უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს უჭირს თამაში. ჩვენი ფეხბურთელების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ მძიმე მატჩს ისინი მორალურადაც და ფსიქოლოგიურადაც მომზადებულნი შეხვდნენ.

დასაწყისშივე ნათელი შეიქმნა, რომ მასპინძლები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებდნენ. პირველსავე წუთებზე დონეცკელებმა რამდენიმე სახიფათო იერიში მოიგერიეს. მეხუთე წუთზე თავიანთ საჯარიმოში სტუმრებმა კეტაშვილის ინდივიდუალური გარღვევა უხეში ილეთით შეაჩერეს. გოგიჩაიშვილის მიერ დარტყმულმა 11-მეტრიანმა მიზანს მიაღწია — 1:0. არც გატანილი ბურთის შემდეგ შეუწყვეტიათ იერიშები მასპინძლებს — პირველი ნახევრის დასაწყისი მათი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა. დონეცკელები კი კონტრშეტევებით ფიქრობდნენ მიზნის მიღწევას. ამიტომაც იყო, რომ მთელ მოედანზე „შახტიორის“ სწრაფ თავდამსხმელებს დინამოელები პერსონალურად მეურვეობდნენ. ცნობილია, დონეცკელები გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშაც ახერხებენ ნებისმიერ გუნდის კართან შექმნან საგოლე მომენტები. ამ მხრივ არც ეს მატჩი ყოფილა გამონაკლისი. შეხვედრის 25-ე წუთზე, როდესაც მცველთა შეცდომის შემდეგ ბურთი გრაჩოვს დარჩა, ყველას ეგონა, რომ იგი დრიბლინგით შეეცდებოდა კართან მიახლოვებას, მაგრამ გრაჩოვმა შესანიშნავად შეაფასა სიტუაცია და თითქმის ოცდაათი მეტრის მანძილიდან უძლიერესი დარტყმით აღადგინა წონასწორობა — 1:1. გატანილი ბურთის შემდეგ სტუმრებმა მკვეთრად მოუმატეს ტემპს, თუმცა სერიოზული საფრთხე მასპინძელთა კართან ველარ შექმნეს. თბილისელთა იერიშები კი სულ უფრო სახიფათო გახდა. კარის აღების კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ გოგიჩაიშვილს, ქეცბაიას, კაჭარავას, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები ან მიზანს სცდებოდა, ან მეკარე მიხაილოვი იყო მოწოდების სიმაღლეზე. მე-40 წუთზე ჭედია-თედეევის ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ცაავა პირისპირ დარჩა „შახტიორის“ კარის დარაჯთან. გოლკიპერი ცრუ მოძრაობით მოატყუა და... მიხაილოვს ისღა დარჩენოდა ხელით შეეჩერებინა თავდამსხმელი. მატჩის არბიტრმა მ. იოფემ მეორე 11-მეტრიანი დანიშნა. გოგიჩაიშვილის დარტყმა ამჯერად ზედა ძელმა მოიგერია.

47-ე წუთზე კაჭარავა სწრაფად გაერკვა „შახტიორის“ კართან შექმნილ არეულობაში და ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. დარჩენილ დროში თბილისელებს შეეძლოთ გაეზარდათ ანგარიშში სხვაობა, მაგრამ რთულ სიტუაციაში კვლავ უშეცდომოდ თამაშობდნენ დონეცკელთა მცველები და მეკარე მიხაილოვი. ჩემპიონატის მორიგ შეხვედრას ჩვენი გუნდი ერევანში „არარატთან“ 14 მაისს გამართავს.

„შახტიორთან“ მატჩის მთლიანი შემოსავალი 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა მემორიალის ფონდში გადაირიცხა.

**ზაზა კახაძე.**



### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი** ● **მდგომარეობა 6 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 9 | 6 | 3 | 0 | 18-3 | 15 |
| „დინამო“ (კიევი) | 9 | 5 | 3 | 1 | 14-7 | 13 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 9 | 4 | 3 | 2 | 10-6 | 11 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 9 | 4 | 3 | 2 | 11-11 | 11 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 9 | 3 | 5 | 1 | 10-6 | 11 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 9 | 4 | 2 | 3 | 13-11 | 10 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 9 | 4 | 1 | 4 | 11-12 | 9 |
| „არარატი“ (ერევანი) | 9 | 4 | 1 | 4 | 7-9 | 9 |
| „დინამო“ (თბილისი) | 8 | 2 | 4 | 2 | 8-8 | 8 |
| „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 10 | 2 | 4 | 4 | 7-12 | 8 |
| „დინამო“ (მინსკი) | 9 | 3 | 1 | 5 | 11-13 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 9 | 2 | 3 | 4 | 9-11 | 7 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 9 | 2 | 3 | 4 | 5-7 | 7 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 9 | 2 | 3 | 4 | 6-8 | 7 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 9 | 1 | 4 | 4 | 5-12 | 6 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 9 | 2 | 1 | 6 | 4-13 | 5 |

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

### უმაღლესი ლიგა

**შვიდი** ტურის შემდეგ მხოლოდ შარშანდელი ჩემპიონი, ქუთაისის „აიაა“ დაუმარცხებელი. მისმა მთავარმა კონკურენტებმა — მონინოსა და კრასნოიარსკის გუნდებმა ბოლო შეხვედრები მოსკოვში გამართეს და მოულოდნელად დამარცხდნენ: სსა-მ „ლოკომოტივთან“ წააგო (0:9), ეტს-მ — „ფილისთან“ (18:20). ამავე ტურში კიევის „ავიატორმა“ სტუმრად სძლია ტირასპოლის „ელექტრომაშს“ (7:3), ალმა-ათაში კი იქაურ არმიელთა და თბილისის „ელმავლის“ მატჩი არ გამართულა.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 6 მაისისათვის**

| | თ. | მ. | ს. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „აიაა“ | 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 0 | 9 |
| „ფილი“ (მ.) | 6 | 2 | 4 | 4 | 1 | 1 | 9 |
| სსა (მონინო) | 5 | 2 | 3 | 4 | 0 | 1 | 8 |
| „ლოკომ.“ (მ.) | 7 | 3 | 4 | 4 | 0 | 3 | 8 |
| „ელექტრ.“ | 7 | 7 | 0 | 4 | 0 | 3 | 8 |
| ეტს (კრ.) | 6 | 1 | 5 | 3 | 0 | 3 | 6 |
| ასკ (ა.-ა.) | 6 | 4 | 2 | 3 | 0 | 3 | 6 |
| „ავიატ.“ (კ.) | 7 | 4 | 3 | 3 | 0 | 4 | 6 |
| „ზვეზ.“ (ტ.) | 7 | 7 | 0 | 2 | 1 | 4 | 5 |
| „სლავა“ (მ.) | 6 | 1 | 5 | 2 | 0 | 4 | 4 |
| „ელმავალი“ | 4 | 1 | 3 | 1 | 1 | 2 | 3 |
| „სპარტ.“ (მ.) | 6 | 1 | 5 | 0 | 0 | 6 | 0 |

### პირველი ლიგა

როგორც იქნა, შეჯიბრებაში საქართველოს გუნდებიც ჩაებნენ. აპრილის დამლევს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს „მიმინო“ „ციმბირულ ტურნეში“ ორჯერ დამარცხდა — ნოვოკუზნეცკსა (6:13) და კრასნოიარსკში (6:22, „სიბტიაჟმაშთან“), ახლახან კი მიმინოელებმა და თბილისელმა არმიელებმა უკვე თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართეს მორიგი მატჩები.

3 მაისი. „მიმინო“ — „პრესი“ (დნეპროპეტროვსკი) 22:12 (12:3). ლიგის აუტსაიდერი თბილისელებმა ოსტატობით კი დაჯაბნეს, მაგრამ თავიანთი გულარხეინობის გამო უკვე მოგებულ მატჩში გამარჯვება, ერთი პირობა, სათუოდ გაიხადეს. საქმეს ისაა, რომ 12 ქულით დაწინაურებულმა „მიმინომ“ იმდენი „მოახერხა“, რომ „პრესს“ ანგარიში გაათანაბრებინა (12:12), მაგრამ შემდეგ კვლავ იძალა და თამაშის ბოლოს ორი გადამწყვეტი ლელოც გაიტანა.

„მიმინომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბარსეგიანი; ჩიხლაძე, გეგეჭკორი, კურატიშვილი (ალანია), ი. ხუციშვილი; კალანდაძე, ხარატი; ბერიაშვილი, დოლიძე, რობიტაშვილი; ბიძინაშვილი (სულხანიშვილი), მესხი, კახეთელიძე (დევდარიანი), ზოიძე; სვანიძე (ალავიძე).**

თბილისელთაგან ლელო გაიტანეს სვანიძემ, ხუციშვილმა და ზოიძემ, ბარსეგიანმა კი ორი გარდასახვა, თითო საჯარიმო და არეკნი შეაგდო.

4 მაისი. ასკ (თბილისი) — „რადუგა“ (ტაგანროგი) 19:6 (10:6). ქართველ არმიელ მორაგბეთა გუნდისთვის პირველივე მატჩი ნებისყოფის ერთგვარ გამოცდად იქცა. მართალია, სტუმრებს სათამაშო პრაქტიკა მეტი ჰქონდათ, არც სველი ბურთი და მოედანი, ისევე როგორც უაღრესად უმეცარი მსაჯობა, ასხამდა წყალს ხელით თამაშის მოყვარულ თბილისელთა წისქვილზე, მაგრამ აშკარად უფრო მაღალი კლასისა და თავდადების გამო ჩვენებმა ორჯერ დაწინაურებულ „რადუგას“ წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს.

ასკ-ის შემადგენლობა: **მაჩიტიძე; ბესელია, მარჯანიშვილი, ჩიქვინიძე, შანიძე; ძაგანელი, ჯანელიძე; კეიდია (ქურციკიძე), კუსრაშვილი, გიორგობიანი; დ. ობოლაძე, ქ. გაგნიძე (ნ. წიკლაური), დ. გიორგაძე (ხარაძე), ბერძენიშვილი (რ. წიკლაური); ვართანიანი.** გამარჯვებულთაგან ერთი ლელო გაიტანა მერაბ ბესელიამ, აკს-ის კაპიტანმა მერაბ მარჯანიშვილმა კი გუნდს 15 ქულა შესძინა (2 ლელო, 2 გარდასახვა, საჯარიმო).

პირველი ლიგის შეჯიბრებას 5 ტურის შემდეგ 9-9 ქულით ლიდერობენ ლვოვის „სოკოლი“ და კიევის „პოლიტექნიკა“.

## თურქეთში გაემგზავრებიან

**საბჭოთა** კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩს თურქეთში, ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან გამართავს 10 მაისს. ჩვენი გუნდი თურქეთში 9 მაისს გაემგზავრება. საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ შეკრებაზე მოუხმო შემდეგ ფეხბურთელებს: დასაევს, ხარინს, ლუჟნის, კეტაშვილს, გორლუკოვიჩს, ო. კუზნეცოვს, ზიგმანტოვიჩს, რაცს, კულკოვს, ლიტოვჩენკოს, ალეინიკოვს, მიხაილიჩენკოს, დობროვოლსკის, ზავაროვს, პროტასოვს, ბელანოვს, ი. სავიჩევს, ბოროდიუკს.

საზღვარგარეთ მოთამაშე ჩვენი ქვეყნის ნაკრების მოთამაშეები დასაევი, რაცი და ზავაროვი მოსკოვში 8 მაისს უნდა ჩამოფრინდნენ, ხოლო ხიდიატულინი, რომელიც ამჟამად საფრანგეთში თამაშობს, ტრავმის გამო მწვრთნელებს ამ საპასუხისმგებლო მატჩში მონაწილეობისათვის არ გამოუძახებიათ.

## „სიჭაბუკის თასზე“

**დასასრულს** უახლოვდება „სიჭაბუკის თასის“ რესპუბლიკური გათამაშება ფეხბურთში (წელს ამ საპატიო პრიზს ერთმანეთს ეცილებიან 1974-75 წლებში დაბადებული ჭაბუკები). უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ესენი არიან 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის პირველი და მეორე გუნდები, თბილისის „ავაზა“ და ჩხოროწყუს ნორჩი ფეხბურთელები, რომლებმაც გზა ნახევარფინალამდე ასე განვლეს: თბილისის 35-ე სკოლის პირველმა გუნდმა შინ და სტუმრად ერთნაირი ანგარიშით — 2:1 დაამარცხა ბათუმელი თანატოლები, შემდეგ ორი თამაშის ჯამში აჯობა ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდს — 4:1 (1:1).

ჩხოროწყუელებმა მახარაძელებთან წაგებული (0:3) შეხვედრის შემდეგ შინ შეძლეს რევანშის აღება — 4:0, შემდგომ ეტაპზე კი თბილისის „შევარდენს“ შეხვდნენ. ორი შეხვედრის ჯამში ანგარიში თანაბარი იყო — 2:0 (0:2). დამატებითი პენალტების სერიით გამარჯვებას ჩხოროწყუელებმა მიაღწიეს — 4:2 და ნახევარფინალის საგზურიც მათ მოიპოვეს. შემდგომ ეტაპზე მათი მეტოქე 35-ე სკოლის პირველი გუნდი იქნება.

35-ე სკოლის II ნაკრებმა ზესტაფონში გამართულ პირველ შეხვედრაში შეძლო მასპინძლების დამარცხება — 3:1. განმეორებით მატჩზე ზესტაფონელები სათამაშოდ არ გამოცხადდნენ. მეორე შეხვედრა 35-ე სკოლის ფეხბურთელებს საგარეჯოელებთან ჰქონდათ და ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვებას მიაღწიეს — 6:0 (0:3).

მეოთხე ნახევარფინალისტმა, თბილისის „ავაზამ“, კასპში პირველი შეხვედრა მოიგო — 1:0, განმეორებით მატჩში კი გამარჯვა დიდი ანგარიშით — 5:1. მეორე ეტაპზე „ავაზამ“ სტუმრად სძლია სოხუმის გუნდს (5:2), განმეორებით მატჩში კი ფრეს დასჯერდა — 2:2.

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან 35-ე სკოლა-I — ჩხოროწყუ, „ავაზა“ — 35-ე სკოლა II. ნახევარფინალები 6 და 11 მაისს ორ წრედ ჩატარდება.

**ნინო ბაბუნაშვილი.**

## „ნაპოლი“ თუ „შტუტგარტი“?

**8 მაისს** გაიმართა ფეხბურთში უეფა-ს თასის პირველი ფინალური შეხვედრა. იტალიის „ნაპოლიმ“ გფრ-ის „შტუტგარტს“ უმასპინძლა. ამ საინტერესო შეხვედრაში პირველი ბურთი სტუმრებმა გაიტანეს. „შტუტგარტის“ თავდამსხმელმა, წარმოშობით იტალიელმა მავრიციო გაუდინომ შორეული ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ „ნაპოლის“ უპირატესობა აშკარა იყო. მსაჯმა ხელით თამაშისთვის გერმანელთა კარში 11-მეტრიანი დანიშნა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ უნაკლოდ შეასრულა დარტყმა — 1:1. გამარჯვების გოლი გერმანელთა კარში ბრაზილიელმა ანტონიო კარეკამ გაიტანა (რომელიც ამჟამად „ნაპოლის“ შემადგენლობაში გამოდის).

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა 17 მაისს შტუტგარტში გაიმართება. სწორედ ეს მატჩი დაასახელებს უეფა-ს თასის 1989 წლის მფლობელს.

## ეძღვნება მწვრთნელის ხსოვნას

**თბილისში** მიმდინარეობს ფეხბურთელთა პირველი საკავშირო ტურნირი, რომელიც ეძღვნება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ბორის ჭელიძის ხსოვნას. პრიზისათვის 1978 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ცხრა გუნდი იბრძვის. ტურნირს ლიდერობს გორის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლის კოლექტივი.

ამ ასპარეზობის გამართვის თაოსნები არიან თბილისის საქალაქო სპორტკომიტეტი და №35 სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობა, სადაც მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ბორის ჭელიძე. საინტერესო და შინაარსიანი იყო ამ შესანიშნავი პედაგოგის ცხოვრება, რომელმაც 35 წელზე მეტი მოახმარა ფეხბურთს, ახალგაზრდობასთან, ბავშვებთან მუშაობას, მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის ახალგაზრდულმა და ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდებმა მოიპოვეს მრავალი შთამბეჭდავი გამარჯვება საკავშირო ასპარეზობებში. ბორის ჭელიძემ დიდ ფეხბურთს აზიარა თავისი მრავალი აღსაზრდელი. ერთი მათგანია სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით ყიფიანი.

## ემზადებიან...

**ჩვენს** ქვეყანაში ქალთა ფეხბურთი დიდი ხანი არაა, რაც დამკვიდრდა, საკავშირო შეჯიბრებებიც იმართება, სადაც ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიც მონაწილეობენ. წლეულს განზრახულია ფეხბურთელ ქალთა პირველი საკავშირო ჩემპიონატის ჩატარება.

ამ საინტერესო ღონისძიებასთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებას განზრახული აქვს ჩაატაროს რესპუბლიკური შეჯიბრება როგორც პროფკავშირული, აგრეთვე სხვა სპორტული საზოგადოებების გუნდების მონაწილეობით. ეს შეჯიბრება მოეწყობა მაის-ივნისში, მონაწილე სპორტსმენთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 16 წელს. ამ ასაკის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრების შემდეგ დაიწყება რესპუბლიკური პირველობა 13-15 წლის გოგონათათვის. ამასთან დაკავშირებით, შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა ორგანიზაციებმა 15 მაისამდე უნდა მიმართონ პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს მისამართით: 380019, თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №95-ა.

**არჩევან წიკოლაიშვილი,**
**პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღირსეული ჩემპიონი

**ბორის** საჭადრაკო კლუბ „მთიებში" დამთავრებულ რესპუბლიკის ვაჟთა 49-ე ჩემპიონატში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია თბილისელმა ოსტატმა გია ბაღათუროვმა. ბოლო, XI ტურში იგი თანაქალაქელ საერთაშორისო ოსტატ იგორ ეფიმოვს ხვდებოდა და ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად აუცილებლად სჭირდებოდა გამარჯვება. მართალია, ყაიმის შემთხვევაშიც ვერავინ გაუსწრებდა მას, მაგრამ ქულათა თანაბარი რაოდენობის მოგროვების დროს „საქმეში ჩაერეოდა" დამატებითი მაჩვენებლები, რომელსაც, შესაძლოა, გაეფუჭებინა მისი საქმე. შეხვედრა უშეღავათო ბრძოლით აღინიშნა. ბაღათუროვი ზუსტად, თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა და მიაღწია კიდეც საწადელს. ეფიმოვი კი ამ მარცხმა სატურნირო ცხრილის მეოთხე საფეხურზე „გადაისროლა" და საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის იმედი საბოლოოდ გადაუწურა. ალბათ გახსოვთ, საკავშირო შეჯიბრებაში გორის ტურნირის სამი საუკეთესო მონაწილე გავა. ეს უფლება და რესპუბლიკის ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები შესაბამისად ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატმა (მას შესრულებული აქვს ოსტატის ნორმა) ბესიკ ხეცურიანმა და თბილისელმა ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ მოიპოვეს. ბოლო ტურში ხეცურიანმა სუპატაშვილს სძლია, ტაბატაძემ კი შავი ფიგურებით სიჭინავას მოუგო. ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: არახამია — ლობჟანიძე 1:0, ვალიევი — იაშვილი 0:1, მახაგაძე — ქასოშვილი 1:0.

აი, როგორ გამოიყურება ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი: I. გია ბაღათუროვი (თბილისი) — 8 ქულა, II-III. ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი), თამაზ ტაბატაძე (თბილისი) — 7,5-7,5 (ხეცურიანს ტაბატაძეზე უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და ამიტომ ვერცხლის მედალი მას გადაეცემა), IV-V. იგორ ეფიმოვი, ქეთევან არახამია (ორივე — თბილისი) — 6-6, VI. ნუკრი მახაგაძე (ქუთაისი) — 5,5, VII. აკაკი იაშვილი — 5, VIII-X. ზვიჩა სუპატაშვილი (ორივე — თბილისი), რომან სიჭინავა (ცხაკაია), ციალა ქასოშვილი (გორი) — 4,5-4,5, XI-XII. დავით ლობჟანიძე (თბილისი), თემურ ვალიევი (ცხინვალი) — 3,5-3,5.

აღსანიშნავია, რომ ვერც ერთმა მოჭადრაკემ ვერ მოახერხა მთელი ტურნირის დაუმარცხებლად ჩატარება. თითო „ნული" უწერია აქტივში ლიდერთა სამეულს. ბაღათუროვმა მოიგო ექვსი პარტია და ოთხი ყაიმით დაამთავრა (აღსანიშნავია, რომ იგი პირველივე ტურიდან ლიდერობდა ჩემპიონატში). ხეცურიანსა და ტაბატაძეს ხუთ-ხუთი მოგებული და ყაიმით დამთავრებული შეხვედრა აქვთ.

დიდ ინტერესს იწვევდა უკონკურსოდ მონაწილე ქალების — საერთაშორისო დიდოსტატ ქეთევან არახამიასა და საერთაშორისო ოსტატ ციალა ქასოშვილის — გამოსვლა. მათი საბოლოო შედეგები უკვე იცით, ახლა მხოლოდ იმას დავძენთ, რომ არახამიამ ხუთი „ერთიანი" და ოთხი „ნულიანი" ჩაიწერა აქტივში, ორ შეხვედრაში კი დაუზავდა მეტოქეებს. რაც შეეხება ქასოშვილს, მან სამი პარტია მოიგო, ამდენივე ყაიმით დაამთავრა და ხუთჯერ დამარცხდა.

**სურათზე: გია ბაღათუროვი**

## საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

# მორიგი ტურის მატჩები

**29-30 აპრილს თბილისში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი.**

**29 აპრილი. „დინამო" (თბილისი) — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 98:120 (40:58). მსაჯები — გ. ოსიაშვილი და ს. მაღალაშვილი (ორივე — საკავშირო კატეგორია).**

**„დინამო"**: ბაქრაძე (26), ჭაბუკიანი (13), სამნიაშვილი (11), ლომთაძე (11), ბიჭიაშვილი (10), მახარაძე (10), გურგენიძე (6), სარალიძე (4), დემეტრაშვილი (4), გობრონიძე (3).

**სპი**: გიორგობიანი (59), ჯომარჯიშვილი (18), გოგელია (16), კვეზერელი (13), ცაგარეიშვილი (11), კოტრიკაძე (3).

**29 აპრილი. სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 101:121 (50:45). მსაჯები — ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი**: გურასპაული (37), სამხარაძე (32), მიქიაშვილი (20), გვლიგვაშვილი (7), აბზიანიძე (4), ბარამიძე (1).

**„შევარდენი"**: ძიძავა (36), შავლოხოვი (20), წულაია (19), კობახიძე (16), დონაძე (14), ცაგარეიშვილი (8), ნუცუბიძე (4), კორძაია (2), ჩიხლაძე (2).

**29 აპრილი. „მართვე" (თბილისი) — ჭიათურა 87:61 (40:20). მსაჯები — რ. ხომერიკი (საერთაშორისო კატეგორია) და გ. გრიგორიანი.**

**„მართვე"**: ხელაშვილი (24), ნიკურაძე (16), ჯაფარიძე (13), ბაქრაძე (11), ჯორბენაძე (7), გაბისონია (5), ჩუბინიძე (4), დავითაია (4), ვ. ნიკურაძე (3).

**ჭიათურა**: ბარათაშვილი (13), ბოხოველი (11), ყანჩაველი (10), გურული (9), ფოფხაძე (6), დეკანოიძე (6), კაპანაძე (4), ნადირაძე (2).

**30 აპრილი. „მართვე" (თბილისი) — ჭიათურა 91:70 (37:39). მსაჯები — გ. გრიგორიანი და ლ. ლორთქიფანიძე.**

**„მართვე"**: მურაიტოვი (39), ხელაშვილი (28), დავითაია (10), ჯაფარიძე (9), ჩუბინიძე (4), გაბისონია (1).

**ჭიათურა**: ყანჩაველი (20), გურული (16), ძინძაბაძე (11), ბოხოველი (9), ბარათაშვილი (6), ნადირაძე (2), მერმანიშვილი (2), დეკანოიძე (2), კაპანაძე (2).

**29 აპრილი. „აზოტი" (რუსთავი) — ქუთაისი 74:73 (39:27). მსაჯები — რ. გელოვანი და ა. როსტომაშვილი (ორივე — საკავშირო კატეგორია).**

**„აზოტი"**: მიჩილაშვილი (18), კეჭაყმაძე (17), გოგობერიშვილი (17), გაჩეჩილაძე (15), აბაშიძე (5), არაბული (2).

**ქუთაისი**: ვაშაკიძე (24), გუბელაძე (14), ხაბულიანი (12), გოქსაძე (10), ბუაძე (8), ბაკურია (5).

**30 აპრილი. „აზოტი" (რუსთავი) — ქუთაისი 90:88 (41:50). მსაჯები — ა. როსტომაშვილი (საკავშირო კატეგორია), ზ. ზამთარაძე.**

**„აზოტი"**: მიჩილაშვილი (29), გოგობერიშვილი (25), კეჭაყმაძე (14), აბაშიძე (10), გაჩეჩილაძე (8), ზენდელიანი (2), კერესელიძე (2).

**ქუთაისი**: გოქსაძე (34), ხაბულიანი (21), ბუაძე (17), გუბელაძე (16).

**გათამაშების ცხრილი**

**პირველი ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპი (თბილისი) | 6 | 6 | 0 | 12 |
| ჭიათურა | 6 | 2 | 4 | 8 |
| ბათუმი | 6 | 2 | 4 | 8 |
| „სინათლე" (თბილისი) | 4 | 3 | 1 | 7 |
| „მართვე" (თბილისი) | 4 | 2 | 2 | 6 |
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 0 | 4 | 4 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 2 | 1 | 1 | 3 |

**მეორე ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „აზოტი" (რუსთავი) | 6 | 3 | 3 | 9 |
| ქუთაისი | 6 | 3 | 3 | 9 |
| „შევარდენი" (თბილ.) | 6 | 3 | 3 | 9 |
| უნივერსიტ. (თბილ.) | 4 | 4 | 0 | 8 |
| სსმი (სოხუმი) | 4 | 3 | 1 | 7 |
| სსი (თბილისი) | 6 | 0 | 6 | 6 |

# შაბლოთის შეხვედრათა კალენდარი

**6 და 7 მაისს** თბილისში, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ჩატარდება რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები:

**„სინათლე" (თბილისი) — „მართვე" (თბილისი).** 6 მაისს — 18 ს. 30 წთ. 7 მაისს — დასაზუსტებელია.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი).** 6 მაისს — 20.00, 7 მაისს — დასაზუსტებელია.

6 და 7 მაისს გაიმართება ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი. ჭიათურაში ადგილობრივი გუნდი თბილისის „დინამოს" უმასპინძლებს, სოხუმში კი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კალათბურთელები თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებს მიიღებენ.

# სხვაობა ნახევარი ქულაა

**ესპანეთის** ქალაქ სალამანკაში მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა IX კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ დიდოსტატები — თამაზ გიორგაძე, სერგეი კუდრინი და მანუელ რივასი, 7 საერთაშორისო ოსტატი და უნგრელი დები ჟუჟა და იუდიტ პოლგარები.

გიორგაძემ მოუგო ბასკეთის ჩემპიონს მარიო გომესს, ესპანეთის ჩემპიონს ჟოზე დელავიას და 7 მეტოქეს დაუზავდა. შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე 5,5 ქულით მას მეორე საფეხური უჭირავს, ტურნირს კი 6 ქულით ლიდერობს რივასი.

# „მერანი" № 10

**გამოვიდა** გაზეთ „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" X ნომერი. მასში მკითხველი გაეცნობა ახლახან მინსკში დამთავრებული 16,18 და 20 წლამდე ასაკის ქალთა მსოფლიო პირველობების შესარჩევი ტურნირების შედეგებს, საშუალო და უფროს ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებული ქეთევან კახიანის ერთ-ერთ პარტიას.

მსოფლიო თასის გათამაშების IV ეტაპის შედეგებს მიმოიხილავს გივი გამრეკელი წერილში „ლიდერობს გარი კასპაროვი".

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ამას წინათ ბერლინში მოეწყო მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც I ადგილი ზურაბ აზმაიფარაშვილს, ხოლო II — გენადი ზაიჩიკს ერგო. რედაქცია ჭადრაკის მოყვარულთ აცნობს ტურნირის გამარჯვებულის პარტიას.

ამ დღეებში რესპუბლიკაში ჩატარდა ტრადიციული ხსოვნის დღე. რუბრიკით „გახსენება" გიორგი მახარაძე თბილად იგონებს ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის ყოფილ თავმჯდომარეს გიორგი ბედინეიშვილს.

საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორებმა გაგვანებივრეს წარმატებებით. „მერანის" ამ ნომერში ვრცლადაა წარმოდგენილი მათი ბოლოდროინდელი პრემირებული ნამუშევრები.

ამ მასალებს გარდა მკითხველი რამდენიმე საინტერესო წერილსა თუ ინფორმაციასაც გაეცნობა.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 6 მაისი.** დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); ნბა-ს ლიგის პროფესიულ კალათბურთელთა ჩემპიონატი — **20.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 6 მაისი.** ნბა-ს ლიგის პროფესიულ კალათბურთელთა ჩემპიონატი — **20.00.**

**საქართველოს რადიო. 6 მაისი.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. I ლიგა. „ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — **21.45.**

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მე-18 ტირაჟების შედეგები, რომელიც 1989 წლის 30 აპრილს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.732.867 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (22) მოგება 3.403 მანეთია, ოთხისთვის (1827) — 42 მანეთი, სამისთვის (36.110) — 3 მანეთი.

საქართველოში: 6—0, 5—1, 4—41, 3—736.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 18.988.917 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (13) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4.261) — 240 მანეთი, სამისთვის (188.011) — 9 მანეთი.

საქართველოში: 5—0, 4—115, 3—5264.

## „სპორტპროგნოზი"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებზე შედგენილი ლატარია „სპორტპროგნოზის" სპეციალური ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 15-24 აპრილს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.150.621 ვარიანტი, 13 შედეგის გამოცნობისთვის (720) მოგება 101 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (21274) — 7 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (189.950) — 2 მანეთი.

საქართველოში: 13—29, 12—542, 11—3.786.

სპეციალური ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 22 მაისიდან 22 ივნისის ჩათვლით.

**ჩოგბურთის ამბები**

# რეკორდსმენები

**მიუხედავად** იმისა, რომ მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელებმა შტეფი გრაფმა (გფრ) და ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) ამ ცოტა ხნის წინ საერთაშორისო ტურნირებში მარცხი განიცადეს (პირველმა არგენტინელ გაბრიელა საბატინისთან, მეორემ — შვედ სტეფან ედბერგთან), 24 აპრილს გამოქვეყნებულ რეიტინგში ისინი მაინც პირველ ადგილებზე არიან.

ქალთა შორის უძლიერესთა ათეული ასე გამოიყურება: გრაფი, მარტინა ნავრატილოვა (აშშ), საბატინი, კრის ევერტი (აშშ), ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), ზინა ჰარისონი, პამ შრაივერი (ორივე — აშშ), ნატალია ზვერევა (სსრ კავშირი), მანუელა მალეევა (ბულგარეთი), ბარბარა პოტერი (აშშ).

ვაჟთა რეიტინგში ლენდლს მოყვებიან: მატს ვილანდერი (შვეცია), ბორის ბეკერი (გფრ), ედბერგი, ანდრე აგასი (აშშ), კენტ კარლსონი (შვეცია), ჯონ მაკინროუ (აშშ), იაკობ ჰლასეკი (შვეიცარია), თომას მუსტერი (ავსტრია), ჯიმი კონორსი (აშშ). საბჭოთა ჩოგბურთელთაგან საუკეთესო ადგილი (ოცდამერვე) ანდრეი ჩესნოკოვს უკავია.

აღნიშნულ პერიოდში გრაფს და ლენდლს პრემიების სახითაც სარეკორდო თანხა აქვთ მიღებული, პირველს — 384.120, მეორეს — 425.655 დოლარი. ამ მაჩვენებლით რეკორდსმენთა სამეულში არიან: ქალთა შორის — საბატინი (229.470) და ნავრატილოვა (184.925), ვაჟებში — მაკინროუ (331.185) და ბეკერი (229.679). საბჭოთა ჩოგბურთელებს ნატალია ზვერევასა და ლარისა სავჩენკოს შესაბამისად მიღებული აქვთ 72.550 (მე-9 ადგილი) და 50 300 (მე-18 ადგილი) დოლარი.

# ორნი მეოთხედფინალში

**მიუნხენი.** „გრან-პრის" პროგრამით აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში თამაშის უფლება სხვებთან ერთად ორმა საბჭოთა სპორტსმენმა — მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა და კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა მოიპოვა. პირველმა გათამაშების მესამე წრეში შვედი მაგნუს გუსტაფსონი დაამარცხა (6:1, 7:6), მეორემ — ავსტრალიელი კარლ ლამბურგერი — 6:3, 6:3.

მანამდე შეჯიბრებას გამოეთიშა უფელი ანდრეი ჩერკასოვი. მას არგენტინელმა გილერმო პერეს-როლდანმა აჯობა — 7:5, 6:3.

უიმბლდონის ჩემპიონმა შვედმა სტეფან ედბერგმა მერვედფინალში დასავლეთგერმანელ კარლ-უვე შტეებს მოუგო — 6:2, 6:4, არგენტინელმა ალბერტო მანჩინიმ კი ჩეხ კარელ ნოვაჩეკს — 6:4, 6:3.

# ყველაზე ძვირი უიმბლდონი

**ჩოგბურთელთა** წლევანდელი არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი — უიმბლდონის ტურნირი ინგლისის პრესის მონაცემებით ყველაზე „ძვირი" შეჯიბრება იქნება. მისი საპრიზო ფონდი 5 მილიონ დოლარს გადააჭარბებს (5,3 მილიონი დოლარი). მანამდე რეკორდი აშშ-ს 1988 წლის ღია ჩემპიონატს ეკუთვნოდა — 4,4 მილიონი დოლარი.

ერთეულთა ტურნირში გამარჯვებული ჩოგბურთელი ვაჟი ჯილდოდ 330.000, ქალთა ტურნირის ჩემპიონი კი 298.000 დოლარს მიიღებს. ტურნირის დებულება ამჯერად ფაქტიურად ყველა მონაწილისთვის ითვალისწინებს პრემიას. პირველსავე წრეში დამარცხებულ ვაჟს მიეცემა 4.500, ქალს კი — 3.850 დოლარი.

უიმბლდონის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა ბაზერ ჰედინჰემმა განაცხადა, რომ ჰონორარის გაზრდა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც შარშანდელმა შეჯიბრებამ სარეკლამო შემოსავალი მოიტანა. „ჩოგბურთისადმი ინტერესის ზრდა მთელს მსოფლიოში საშუალებას გვაძლევს, რომ უიმბლდონის მონაწილეებს მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ. სხვა თუ არაფერი, ამ ზეიმის მთავარი მოქმედი პირნი სწორედ სპორტსმენები არიან", — განაცხადა საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 60435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07164